საქართველოს მთავრობის

დადგენილება №730

2014 წლის 26 დეკემბერი

ქ.თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 17/01/2014, 300160070.10.003.017673) დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი 10 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 10

უკანონო ტყითსარგებლობის სახე		მიყენებული (დამდგარი) ზიანის ოდენობის განსაზღვრა (ლარებში)
1		2
1	ტყეკაფის გამოყოფა დადგენილი წესის დარღვევით	ათვისებულ ტყეკაფზე – ტყეკაფში ჭრაში დანიშნული ხეების ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაბამისი მოსაკრებლის საერთო ოდენობის (თანხის) 30%; ნაწილობრივ მოჭრილ ტყეკაფზე – მოჭრილი ხეების ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაბამისი მოსაკრებლის ოდენობის 30% .
2	ჭრის შედეგად ტყეკაფში კორომის სიხშირის ნორმაზე დაბლა დაყვანა	ნორმაზე ზევით მოჭრილი ზეზეური ხისთვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა;
3	ტყეკაფის ათვისების შემდეგ თუ დადგინდა რომ შესაბამის ტყეკაფზე ხმელი, ხმობადი, ძლიერ დაზიანებული ხეები ჭრაში არ იქნა დანიშნული ან დანიშნული ხმელი, ხმობადი, ძლიერ დაზიანებული ხეები მოუჭრელად იქნა დატოვებული	ჭრაში არ დანიშნული ან ჭრაში დანიშნული და ტყეკაფში მოუჭრელად დატოვებული ხისთვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე–3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოთხმაგი ოდენობა;
4	ტყეკაფში ტყის ჭრის დროს ჭრაში დაუნიშნავი ფესვის ყელზე 12 სმ და მეტი დიამეტრის მქონე ხეების წაქცევა ან ღეროს გადატეხვა, მოჭრილი ხეების 10%-ზე მეტი ოდენობის შემთხვევაში	მოჭრილი ხეების ოდენობის 10%-ზე ზევით დაზიანებული თითოეული ხისთვის – შესაბამისი ხარისხის (I ან II) ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფის (1მ^3-ის) ხის სარგებლობისათვის დადგენილი შესაბამისი კატეგორიის მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა; *შენიშვნა:* ერთდროულად 2 ან მეტი მერქნიანი მცენარის დაზიანების შემთხვევაში დასაშვებ (10%) ოდენობაში პირველ

		რიგში ჩაითვლება ბუნებრივი რესურსების დაბალი მოსაკრებლის ან/და მცირე დიამეტრის მქონე ხეები
5	მოჭრილი და მიყუდებული ან ნახევრად ჩაჭრილი (საშიში) ხეების დატოვება	თითოეული ხისთვის – შესაბამისი ხარისხის (I ან II) ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფის (1მ^3-ის) ხის სარგებლობისათვის დადგენილი შესაბამისი კატეგორიის მოსაკრებლის ორმაგი ოდენობა;
6	მოზარდ-აღმონაცენის ამოძირკვა ან მოჭრა ან განადგურება (გარდა მოჭრილი ხის წაქცევითა და დადგენილი წესით მორთრევით გამოწვეული დაზიანება/განადგურებისა)	ამოძირკულ, დაზიანებულ ან განადგურებულ ფესვის ყელზე 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის თითოეული მცენარისათვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1მ3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა;
7	ცოცხალი (ნედლი) მერქნიანი მცენარეების, ასევე მინდორსაცავი და ქარსაცავი ტყის ზოლების ან სხვა დამცავი (ფესვის ყელზე 12 სმ და მეტი დიამეტრის მქონე) ნარგაობის უკანონოდ ამოძირკვა, მოჭრა ან დაზიანება, რამაც მათი სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტა გამოიწვია	ა) ამოძირკული (ნებისმიერი ხარისხის) ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა; შენიშვნა: თუ ამოძირკული ხის სახეობის დადგენა შეუძლებელია, ზიანის გაანგარიშება ხდება აღნიშნულ ფართობზე ან ლიტერში გაშენებული ან გაბატონებული ჯიშის ხის სახეობის მიხედვით; ბ) მოჭრილი ან დაზიანებული პირველი ხარისხის ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა; გ) მოჭრილი ან დაზიანებული მეორე ხარისხის ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა;
8	ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენების განთავსების დადგენილი წესის დარღვევა	გაუწმენდავად დატოვებული ტყეკაფის თითოეულ ჰექტარზე გამოზიდული ხე-ტყის მერქნული რესურსის სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებლის საერთო ოდენობის 30%;
9	სამეურნეო საქმიანობის შედეგად ნიადაგის დეგრადაცია, რაც გამოიწვევს ეროზიულ პროცესებს, თუ ტყეკაფის ათვისებისთანავე შესაბამისი ტერიტორია აღდგენილ არ იქნა პირვანდელ ან მასთან მიახლოვებულ მდგომარეობაში	ამ შემთხვევაში ზიანი იანგარიშება ამ დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;
10	გამოფისვა	გამოფისული შესაბამისი ხარისხის ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის დადგენილი შესაბამისი კატეგორიის მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა;
11	ტყის კულტურების განადგურება ან დაზიანება	ყოველ განადგურებულ, ფესვის ყელზე 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე მცენარეზე – 20 ლარი
12	წიწვიანი სახეობის მერქნიან მცენარეთა ფესვის ყელზე 12 სმ-მდე დიამეტრის სახეობების უკანონოდ მოჭრა ან წიწვიანი სახეობის მერქნიან მცენარეთა ფესვის ყელზე 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის სახეობებისათვის ვარჯის წვერის წაჭრით მცენარის დაზიანება	ყოველ მოჭრილ ან დაზიანებულ მცენარეზე – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა;

13	მინდორსაცავი და ქარსაცავი ტყის ზოლების ან სხვა დამცავი ნარგაობის დაზიანება, რაც მცენარის სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტას არ გამოიწვევს	დაზიანებული პირველი ხარისხის ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა; დაზიანებული მეორე ხარისხის ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა;
14	ტყის ნაყოფმომცემი (ჯონჯოლი, ქაცვი, კოწახური, შინდი, ნუში და სხვა) მცენარეების მოჭრა	ყოველ მოჭრილ მცენარეზე – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ორმაგი ოდენობა;
15	ბზის ან უთხოვრის მოჭრა, ამოძირკვა, ან დაზიანება ტოტების მოჭრით	ა) ყოველ მოჭრილ ან ამოძირკულ უთხოვარზე ან/და ბზაზე ერთ ძირზე – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა; ბ) თუ ცნობილია დაზიანებული მცენარეების რაოდენობა, ყოველ დაზიანებულ მცენარეზე – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის 15%; გ) თუ დაზიანებული მცენარეების რაოდენობის დადგენა შეუძლებელია – ყოველ მოტეხილ 20 სმ-მდე სიგრძის ტოტზე – 1 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მოტეხილ 20 სმ-ზე მეტი სიგრძის ტოტზე – 2 ლარის ოდენობით.
16	ზეხმელი, ჩახერგილი (მათ შორის წაქცეული) ხეების უნებართვოდ მოჭრა, დამზადება	ასეთ თითოეულ ხეზე – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ორმაგი ოდენობა;
17	უკანონო ძოვება	დაზიანებულ ან განადგურებულ მცენარეზე – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის 20%;
18	ტყის ფონდის მიწის ფართობის მითვისება (თვითნებური ან უკანონო დაკავება, ასევე დაუბრუნებლობა) დროებითი ნაგებობებით ან ერთწლიანი მცენარეებით	დროებითი ნაგებობით დაკავებული ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე - შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიხედვით, რეგლამენტის დანართი 3-ით გათვალისწინებული 1 ჰა ურწყავი სახნავის ათვისების საბაზისო ნორმატივის მიხედვით 1 მ.კვ-სთვის დადგენილი საბაზისო ნორმატივის შესაბამისად განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა; ერთწლიანი მცენარეებით დაკავებული ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე - შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიხედვით, რეგლამენტის დანართი 3-ით გათვალისწინებული 1 ჰა ურწყავი სახნავის ათვისების საბაზისო ნორმატივის მიხედვით 1 მ.კვ-სთვის დადგენილი საბაზისო ნორმატივის შესაბამისად განსაზღვრული თანხის ორმაგი ოდენობა;
	ტყის ფონდის მიწის ფართობის მითვისება (თვითნებური ან უკანონო დაკავება, ასევე	კაპიტალური ნაგებობით დაკავებული ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე – შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიხედვით, რეგლამენტის დანართი 3-ით გათვალისწინებული გათვალისწინებული 1 ჰა ურწყავი სახნავის ათვისების საბაზისო ნორმატივის მიხედვით 1 მ.კვ-სთვის დადგენილი

19	დაუბრუნებლობა) კაპიტალური ნაგებობებით ან მრავალწლიანი მცენარეებით	საბაზისო ნორმატივის შესაბამისად განსაზღვრული თანხის ათმაგი ოდენობა; მრავალწლიანი მცენარეებით დაკავებული ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე – შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიხედვით, რეგლამენტის დანართი 3-ით გათვალისწინებული 1 ჰა ურწყავი სახნავის ათვისების საბაზისო ნორმატივის მიხედვით 1 მ.კვ-სთვის დადგენილი საბაზისო ნორმატივის შესაბამისად განსაზღვრული თანხის ხუთმაგი ოდენობა;
20	ტყის ნიადაგის ნაყოფიერი (ჰუმუსოვანი) ფენის თვითნებური ან უკანონო მოხსნა	თვითნებურად მოხსნილ ჰუმუსოვანი ფენის თითოეულ 1$მ^3$-ზე – 300 (სამასი) ლარი;
21	საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიაქტიური, ბაქტეროლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებითა და ნარჩენებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით	მიწის დაზიანების შემთხვევაში ზიანი იანგარიშება ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის თანახმად; გამხმარ ან დაზიანებულ მერქნიან თითოეულ მცენარეზე, ასევე არამერქნიან თითოეულ მცენარეზე (ბუჩქნარები) – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ათმაგი ოდენობა;
22	ბუჩქების (ასევე ქვეტყის) ამოძირკვა, მოჭრა	ყოველ ასეთ მოჭრილ ან ამოძირკულ მცენარეზე შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1$მ^3$-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა; თუ ამოძირკული მცენარის სახეობის დადგენა შეუძლებელია, ზიანის გაანგარიშება ხდება აღნიშნულ ფართობზე გაშენებული ან გაბატონებული სახეობის მიხედვით;
23	ტყის არამერქნული რესურსების უნებართვოდ შეგროვება სამეწარმეო მიზნით ან რესურსის მოპოვება ტყით სარგებლობის სანებართვო დოკუმენტში მითითებული ვადების დარღვევით ან ტერიტორიის გარეთ	გარემოდან ამოღებულ შესაბამის მცენარეთა არამერქნული რესურსებით და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებლის ათმაგი ოდენობა;
24	ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებითა და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სამრეწველო მიზნით სარგებლობა ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტის გარეშე ან სარგებლობა ტყითსარგებლობ-ის სანებართვო დოკუმენტში მითითებული ვადების დარღვევით ან ტერიტორიის გარეთ	მოპოვებული პროდუქციის სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა;
25	უკანონო თიბვა	ყოველ 1 $მ^2$ მოთიბულ ფართობზე – 10 ლარი;
26	უკანონო ხვნა	ყოველი 1 $მ^2$ მოხნული მიწისათვის – 20 ლარი;
27		ა) მოჭრილი პირველი ხარისხის ხისთვის – შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1$მ^3$-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა;

	0,4 და ნაკლები სიხშირის კორომებში სანიტარიული ჭრის ჩატარება (ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრა) განსაკუთრებული აუცილებლობისა ან სათანადო არგუმენტების არ-არსებობისას	ბ) მოჭრილი მეორე ხარისხის ხისთვის შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე–3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა;
28	უკანონო მრგვალი ხე-ტყის ტრანსპორტირება, შენახვა	მოჭრილი ხის სახეობის შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა;
29	უკანონო ხე-ტყის (გარდა მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირება, შენახვა	მოჭრილი ხის სახეობის შესაბამისი ტყის მერქნიან სახეობათა (1მ^3-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა.

შენიშვნა მე-18 და მე-19 პუნქტებზე:

მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული უკანონო ტყითსარგებლობით მიყენებული (დამდგარი) ზიანის ოდენობის გაანგარიშებისას, 1 მ.კვ-სთვის საბაზისო ნორმატივად აიღება დანართი 3-ში მითითებული 1 ჰექტარი ურწყავი სახნავი მიწის ათვისების საბაზისო ნორმატივი გაყოფილი 10 000 ზე. ამასთან გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება დანართი 3-ის შენიშვნა.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება გავრცელდეს ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულ, „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილების დანართი 10-ის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული უკანონო ტყითსარგებლობით გარემოსთვის მიყენებული (დამდგარი) ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოებებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**